ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48230116**

თარიღი:**11/01/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) 2023 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივნისის №31 1729 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ დირექტორის 2023 წლის 09 იანვრის №33/1 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) 2023 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) 2022 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 იანვრის №ბ48.48220139 ბრძანება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (გ.ყურაშვილი)

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY 221274546

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის №2 • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი